

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის მეორე შეხვედრის ოქმი

შეხვედრის დღის წესრიგი:

- ინფორმაცია ასოცირების ინსტრუმენტის (AA Facility) პროექტისა და სახელმწიფოსა და კერძო სექტორთან დიალოგის (Public Private Dialogue) წარმართვის პლატფორმის პრეზენტაცია და გამოცდილების გაზიარება;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2015 წლისა და 2016 წლის პირველი ნახევრის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში;
- კითხვა-პასუხი/დისკუსია

ესწრებოდნენ:

- გენადი არველაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
- ნიკოლოზ ხუნდაკიშვილი - საერთაშორისო სავაჭრო პალატის აღმასრულებელი საბჭოს წევრი - *საბჭოს თავმჯდომარე*;
- ნატო ჩიქოვანი - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე - *საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*;
- მიხეილ ჭელიძე - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი;
- ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე;
- თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანების იურისტი;
- გიორგი ჭანტურიძე - საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანების ეკონომიკური ანალიტიკოსი;
- გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი - საქართველოს ბიზნეს საბჭოს პროექტების დირექტორი;

- დანიელ გახარია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
- კახა გოგოლაშვილი - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელი;
- თამარ ქაფიანიძე - USAID G4G
- დავით კოლუაშვილი - საქართველოში ასოცირების შეთანხმების განხორციელების ინსტრუმენტის (AA Facility) პროექტის ჯგუფის წევრი;
- იოლანტა ტაზინსკა - საქართველოში ასოცირების შეთანხმების განხორციელების ინსტრუმენტის (AA Facility) პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
- ანდრე გონჩაროვი - საქართველოში ასოცირების შეთანხმების განხორციელების ინსტრუმენტის (AA Facility) პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
- კევინ ლატნერი - უფროსი მრჩეველი ვაჭრობის საკითხებში, AFC

განხილული საკითხები:

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის მეორე შეხვედრის დასაწყისში, ბატონმა კევინ ლატნერმა გამართა პრეზენტაცია „საჯარო - კერძო დიალოგის ფარგლებში არსებული DCFTA-ი საკონსულტაციო ჯგუფის ძირითადი ფუნქციების შესახებ და ხაზი გაუსვა აღნიშნული პლატფორმის მნიშვნელობას სახელმწიფო და კერძო სექტორისთვის. საქართველოში ასოცირების შეთანხმების განხორციელების ინსტრუმენტის (AA Facility) პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელმა, იოლანტა ტაზინსკამ და მისმა მოადგილემ, ანდრე გონჩაროვმა, ჯგუფის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის მიზნებისა და მის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

ბატონმა გენადი არველაძემ და ბატონმა ნიკოლოზ ხუნდაკიშვილმა მადლობა გადაუხადეს მომხსენებლებს ჯგუფის წევრების ინფორმირებისათვის და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს საკონსულტაციო ჯგუფის ფორმატის მნიშვნელობას.

ჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს DCFTA-ს მნიშვნელობის, სარგებლისა და გამოწვევების შესახებ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობისათვის უფრო მეტი ინფორმირების საჭიროების საკითხი. ბატონმა ირაკლი პეტრიაშვილმა, რეკომენდაციით მიმართა ქალბატონ იოლანტა ტაზინსკას, რომ ასოცირების შეთანხმების განხორციელების ინსტრუმენტის (AA Facility) პროექტის ფარგლებში განხორციელდეს მოსახლეობაში DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით ერთობლივი ღონისძიებები და გამოხატა მზადყოფნა აღნიშნულ ღონისძიებებში აქტიური ჩართვის შესახებ, რასაც დადებითი გამოხმაურება მოყვა ჯგუფის წევრების მხრიდან.

ბატონმა დანიელ გახარიამ ჯგუფის წევრებს შესთავაზა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის დახმარება რეგიონებში გასამართი შეხვედრების ორგანიზებაში და აღნიშნა, რომ ასოციაცია მზადაა, ერთერთი რეგიონალური შეხვედრა გამართოს კახეთში ასოციაციის ორგანიზებით.

ბატონმა გენადი არველაძემ, საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია DCFTA-ს განხორციელების პროცესში არსებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტების შესახებ¹.

აღნიშნული დახმარებების მიმართ ჯგუფის განსაკუთრებული დაინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ მომდევნო შეხვედრაზე მოწვეულ იქნან EBRD-ს და GIZ-ის წარმომადგენლები, რომლებიც დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან ჯგუფის წევრებს იმ პროგრამების შესახებ, რომელსაც ისინი ახორციელებენ ევროკავშირის დაფინანსების ფარგლებში.

¹ 1) DCFTA SME support program - სრული მოცულობა 43 მლნ. ევრო. წარმოადგენს საბიუჯეტო დახმარების პროგრამას და გათვლილია 2014-2017 წლებზე, რომლიდანაც 11,5 მლნ. ევრო გამოიყო GIZ-ის და EBRD-ისათვის, რათა მათ განახორციელონ ტექნიკური დახმარება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. დანარჩენი თანხის ნაწილი მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. დახმარება მიზნულია რეფორმების მატრიცაზე, რომელიც ითვალისწინებს რეფორმების გატარებას, სახელმწიფო შესყიდვების, კონკურენციის, ბაზრის ზედამხედველობის, მეწარმეობის განვითარებისა და საჯარო-კერძო დიალოგის ხელშეწყობის სფეროებში.

2) DCFTA Facility - პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით EBRD-ის მიერ საქართველოს ბანკს გამოეყო პირველი ტრანში 50 მლნ. აშშ. დოლარის შესაბამისი თანხა ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას საქართველოში არსებული კერძო სექტორისთვის, იმისთვის, რომ მათ შეძლონ DCFTA-ის მოთხოვნების შესრულება და შესაბამისი სტანდარტებით საწარმოების გადაიარაღება. მნიშვნელოვანია, რომ სესხები გაიცემა ეროვნულ ვალუტაში 5 წლიანი საშეღავათო პერიოდით და იგი ითვალისწინებს საგრანტო კომპონენტსაც, რომლის ფარგლებშიც საწარმო სესხის აღების შემდეგ EBRD-სგან მიიღებს ადგილობრივი სესხის 15% თანხას. სესხების ძირითადი მიზნობრიობაა მცირე და საშუალო საწარმოების გადაიარაღების ხელშეწყობა. სესხის მიღების გარდა, პროგრამის ბენეფიციარები სურვილის შემთხვევაში მიიღებენ საკონსულტაციო სერვისს, რაც დაეხმარება მათ უკეთ მოახდინონ მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვა.

თბილისი, 29.07.2016

გადაწყდა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების, მათ შორის (DCFTA) განხორციელების 2015 წლისა და 2016 წლის პირველი ნახევრის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის განხილვა გაგრძელდება შემდეგ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის სექტემბერში.